სსიპ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

19. 11. 2010 №150

თბილისი

სტუ-ს 2009 წლის 18 აგვისტოს №97
ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლების, სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2010 წლის 28 სექტემბრის №332 დადგენილების და წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 21 ოქტომბრის №8 გადაწყვეტილების (ოქმი №54) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. სტუ-ს 2009 წლის 18 აგვისტოს №97 ბრძანების პირველი პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

   „1. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შეიქმნას ევროინტეგრაციული პროცესების შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი", რომელიც საქმიანობას განახორციელებს თვითდაფინანსების პრინციპით.

2. სტუ-ს 2009 წლის 18 აგვისტოს №97 ბრძანების 2.1. პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის ქვეპუნქტები:

   „ – ცენტრი საშუალებას აძლევს სტუდენტებს და აკადემიურ პერსონალს სურვილის შემთხვევაში შეისწავლონ ან სრულყონ უცხო ენების ცოდნა, კურსის წარმატებით დამთავრების შემდეგ გაიცემა შესაბამისი მოწმობა.

   – ამ ბრძანების მე-2.1 პუნქტით გათვალისწინებული ფუნქციის შესრულების მიზნით ცენტრში შეიქმნას ინგლისური ენის შემსწავლელი კურსები, რომლის სასწავლო პროგრამა შედგენილ იქნება კემბრიჯის უნივერსიტეტის პროგრამისა და სახელმძღვანელოების საფუძველზე;

   – კურსებზე მსმენელთა მიღება და შესაბამისი დონის ჯგუფებში (დაწყებითი (elementary-C), საშუალო (intermediate-B) და მაღალი (upper-intermediate-A)) განაწილება მოხდეს ინგლისური ენის ცოდნის დონის შემოწმების მიზნით შედგენილი ტესტის საფუძველზე.

   – სწავლის საფასური განისაზღვროს 40 (ორმოცი) ლარით თვეში, სწავლების პერიოდი ერთ საფეხურზე 3 თვე, კვირაში სამჯერ, 2 საათის ხანგძლივობით.

– სწავლება განხორციელდეს ცენტრის მიერ შედგენილი ცხრილების შესაბამისად.

3. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის სასწავლო კორპუსებში თვალსაჩინო ადგილზე და გამოიკრას უნივერსიტეტის ვებ გვერდზე.
4. ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისათვის უზრუნველყოს სტუ-ს კანცელარიამ.

რექტორი ა. ფრანგიშვილი

**ვიზები:**

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ქ. ქოქრაშვილი

იურიდიული დეპარტამენტის უფროსი *ბ. მაისურაძე*